ხელშეკრულება N23

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ. ჭიათურა. 01 სექტემბერი 2016 წელი.

ერთის მხრივ, სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრეითის N2 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი), წარმოდგენილი მისი დირექტორის დოდო მოდებაძის სახით და მეორეს შპს. „ჟანა 2014" (შემდგომში - მიმწოდებელი), წარმოდგენილი მისი დირექტორის მალხაზ შეყილაძის სახით, სახელმწიფო შესყიდვების შესახებ საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული მოთხოვნების დაცვით ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ წინამდებარე ხელშეკრულებას.

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. ხელშეკრულების საგანია საოფისე ავეჯის (CPV კოდი 39100000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 2000 (ორი ათასი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ელექტრონული ანგარიშფაქტურით.

3.2. მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ელექტრონული ანგარიშფაქტურის ხელმოწერასთან ერთად, მიმწოდებელი ვალდებულია, წარმოუდგინოს შემსყიდველს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესაბამისი საგადასახადო დოკუმენტაცია.

3.3. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ეროვნულ ვალუტაში.

3.4. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის განმავლობაში ეტაბობრივად, შემსყიდველის მოთხოვნიდან ათი დღის ვადაში.

მუხლი 5. დავები, მათი გადაწყვეტის წესი

5.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.2. ხელშეკრულ:ება დადებულია საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით.

5.3 ხელშეკრულების პირობების დარღვევა ან/და არაჯეროვანი შესრულება გამოიწვევს პირგასამტეხლოს დაწესებას ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.5 % ოდენობით.

მუხლი 6. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხს აგებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების, მოსაკრებლების და სხვა გადასახადების გადახდაზე.

მუხლი 7. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

მუხლი 8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაშია მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

მიმწოდებელი	შემსყიდველი
შპს. ,,ჟანა 2014"	სსიპ ჭიათურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხრეითის N2 საჯარო სკოლა
მისამართი: ჭიათურა. წერეთლის ქ. #1 საბანკო რეკვიზიტები: „საქართველოს ბანკი" საბანკო კოდი: BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: GE64BG0000000903824900	მისამართი: ჭიათურა, სოფ. ხრეითი ტელეფონი: 595 74 75 70 საიდენტიფიკაციო კოდი: №215606574 საბანკორეკვიზიტები:ს.ს,,საქართველოს ბანკი" საბანკო კოდი: BAGAGE22 ანგარიშსწორების ანგარიში: №GE38BG0000000119226900
დირექტორი	დირექტორი
---------- / მალხაზი შეყილაძე/	---------- / დოდო მოდებაძე /